ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE
NEWUNI

ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – „ნიუუნი“

შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი **2**

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები **2**

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა **3**

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია **3**

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა **3**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს სასწავლებლის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლებლის შიდა რეგულაციებით და წინამდებარე დებულებით.

3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია სასწავლებლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი საქმიანობის სფეროა სამეურნეო-ტექნიკური რესურსების ეფექტიანად მართვის საფუძველზე სასწავლებლის სტუდენტებს და პერსონალს შეუქმნას სწავლის, შრომისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნორმალური პირობები; უზრუნველყოს სასწავლებლის ქონების მფლობელობისა და სარგებლობის ოპტიმალური რეჟიმის დადგენა; განახორციელოს მატერიალურ ფასეულობათა მიღება და მოვლა-პატრონობა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით; დაიცვას სასწავლებლის უსაფრთხოება.

2. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის ღონისძიებების შემუშავება;

ბ) თანამედროვე ინფრასტრუქტურაზე ზრუნვა;

გ) სასწავლებელში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება და მისი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების მოხდენა, სასწავლებლის შიდა რეგულაციებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) სახანძრო, ასევე საევაკუაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ე) სასწავლებლის კუთვნილი ქონების დაცვა;

ვ) სასწავლებლის ქონებაზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალო მოწყობილობების მეშვეობით არსებული ვითარების გაკონტროლება, სასწავლებლის შიდა რეგულაციებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღმოფხვრის მიზნით;

3. სამსახური ვალდებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს აღმოუჩინოს ყველანაირი დახმარება, რათა მათ შეძლონ შეუფერხებელი გადაადგილება სასწავლებლის შენობაში.

3. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვა;
ბ) ენერგეტიკის, სანტექნიკის, კავშირგაბმულობის და სხვა სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
გ) შენობა ნაგებობების, მოწყობილობების, განათების, გათბობის, საკანალიზაციო, წყალგაყვანილობის და სხვა სისტემების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მათი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე კონტროლი;
დ) სასწავლებლის სტრუქტურული ერთეულების მომარაგება საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით, სამეურნეო, საკანცელარიო ინვენტარით. სასაწყობო მეურნეობაზე სისტემატური კონტროლის განხორციელება;
ე) სასწავლებლის ნაგებობის, მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობა და დასუფთავება, ნარგავების მოვლა;
ვ) სასწავლებლის ბალანსზე რიცხული, ამორტიზებული და ექსპლუატაციისათვის უვარგისი, ჩამოსაწერი ქონების შესახებ წინადადებების მომზადება და წარდგენა;
ზ) სასწავლებლის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ღონისძებების განხორციელება;
თ) სასწავლებლის რექტორთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა;
ი) ყველა საჭირო წინადადების წარდგენა დაცვისა და უსაფრთხოების სისტემის ეფექტურად მუშაობისათვის;
კ) ყოველწლიური მოხსენება ჩატარებულ სამუშაოებსა და დაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებულ სიახლეებზე;
ლ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებების შესრულება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. სამსახური წარმოადგენს სასწავლებლის ორგანიზაციულ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი.

2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი, ადმინისტრაციის უფროსთან შეთანხმებით.

3. სამსახურის უფროსი:

ა) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ბ) ამოწმებს სამსახურის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მასალებს;

გ) ახორციელებს სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურეობრივ ზედამხედველობას;

დ) ახორციელებს სხვა ფუნქციებსა და დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება სასწავლებლის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული და აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული ცვლილება-დამატებების პროექტის რექტორის მიერ დამტკიცების გზით.